

**ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის
სტრატეგიული განვითარების გეგმა
(2018-2025)¹**

შესავალი

2016 წელს, ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის მოთხოვნების და განათლების სფეროში სახელმწიფო პრიორიტეტების გათვალისწინებით, არსებითად შეიცვალა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები და პროცედურები. ახალი სტანდარტების და პროცედურების მიზანია განათლების ერთიან ევროპულ სივრცესთან ჰარმონიზაცია და საქართველოს მთავრობის და განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიით დასახული პრიორიტეტების მიღწევა. ავტორიზაციის განახლებული სტანდარტებიდან გამომდინარე, ახალი გამოწვევების წინაშე დადგა საქართველოში მოქმედი ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. შესაბამისად, ახალი სტანდარტების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, განახლდეს უნივერსიტეტის სტრატეგია, რაც გულისხმობს სტრატეგიული განვითარების 6-წლიანი გეგმის გადამუშავებას, სტრატეგიული განვითარების ახალი, 7- წლიანი გეგმის ჩამოყალიბებას და, ასევე, 3-წლიანი სამოქმედო გეგმის ფორმირებას.

სტრატეგიაში ფორმულირებული ძირითადი პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები ჩამოყალიბდა საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის, განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული გამოწვევების, გარე ფაქტორების, ტენდენციების და საუნივერსიტეტო გამოცდილების და საჭიროებების ანალიზის შედეგად. ამდენად, სტრატეგიის შემუშავების პროცესში ყურადღება გამახვილდა რამდენიმე მნიშვნელოვან დოკუმენტზე:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი სტრატეგია;
- საქართველოს მთავრობის პრიორიტეტები;
- გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები;
- განახლებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები;

განახლებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები;

- უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით მუშაობის შედეგები (მიზნობრივი კვლევები, რომელთა შედეგადაც გამოიკვეთა უნივერსიტეტის კონკრეტული საჭიროებები).

ქართული უნივერსიტეტის სტრატეგიის დოკუმენტში ასახულია უნივერსიტეტის მისია, მომდევნო 7 წლის პერსპექტივით ქართული უნივერსიტეტის განვითარების შესახებ საუნივერსიტეტო საზოგადოების ხედვა, უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნები და კონკრეტული

¹ ასახავს 2018 წლის სექტემბრიდან 2025 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდს.

ამოცანები, სიახლეების დანერგვის გეგმა, ასევე, მოცემულია ინფორმაცია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის და გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგიის შესახებ. სტრატეგია ითვალისწინებს მიზნების მისაღწევად შერჩეულ გზებს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრის ეტაპზე უნივერსიტეტის სტრუქტურებს შორის ეფექტურ თანამშრომლობას, ამდენად, გარდა მისიის, მიზნების და ამოცანების დეკლარირებისა, დოკუმენტს აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც უნივერსიტეტის განვითარებისათვის.

საქართველოს განათლების სისტემის ძირითადი ტენდენციები და გამოწვევები

განათლება უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის, რაც განაპირობებს მის პრიორიტეტულობას. საქართველოს მთავრობამ განათლება ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედად გამოაცხადა.² ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობად დასახელდა.³

საქართველოს მთავრობის ხედვა განათლებასა და მეცნიერებასთან მიმართებაში გულისხმობს ისეთი სისტემის განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი მოქალაქეების აღზრდას, რომელთაც წვლილი შეაქვთ ცოდნის ეკონომიკის განვითარებასა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში.⁴ ამასთან, მაღალი ხარისხის განათლება ხელს უწყობს კეთილდღეობის ამაღლებას და წარმოადგენს პიროვნული, სოციალური და პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელ წინაპირობას.⁵

საქართველოში უკანასკნელი პერიოდი განსაკუთრებით აქტიური გახდა განათლების სისტემაში ცვლილებების მიმდინარეობის თვალსაზრისით, რაც გამოწვეულია ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს წევრობით, ასევე, მოგვიანებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმებით.⁶ აღნიშნული უშუალოდ შეეხო საქართველოში მოქმედ ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების დღევანდელი ერთიანი სტრატეგია დაეფუძნა ხედვას, რომ ბოლო წლებში განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმირებაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, ქვეყანამ გაატარა რიგი რეფორმები, რომლებიც მიმართული იყო პოსტსაბჭოთა განათლების სისტემის გარდაქმნისა და ახალი სისტემის შექმნისკენ, რაც შესაბამისობაში მოვიდოდა სწრაფად ცვლად მოთხოვნებთან და საერთაშორისო სარბიელზე კონკურენტუნარიანი იქნებოდა. ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიით გაცხადებულია, რომ სიღრმისეული რეფორმების მიუხედავად, კვლავ რჩება ბევრი გამოწვევა განათლების და გადამზადების სერვისების ხარისხთან და თანასწორ ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში. ასევე, გამოწვევებს შორის არის განათლების დაკავშირება შრომის ბაზართან და მეცნიერებისა და

² საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2-17-2021, გვ. 3.

³ საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“

⁴ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2-17-2021, გვ. 9.

⁵ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2-17-2021, გვ. 5.

⁶ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის

კვლევების განვითარების ხელშეწყობა.⁷ საქართველოს მთავრობის რეფორმების ოთხპუნქტიან გეგმაში განათლება პრიორიტეტულად წარმოჩინდა და სწორედ მისი მეშვეობით უნდა მოხდეს ადამიანური კაპიტალის განვითარება და მისი ეფექტიანი ჩართულობა ქვეყნის განვითარების პროცესში.

ქართული უნივერსიტეტის საქმიანობა ემსახურება უმაღლესი განათლების მიზნების მიღწევას. ამდენად, უნივერსიტეტი:

მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებას;

ორიენტირებულია დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე, რაც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;

ზრუნავს, შექმნას პირობები პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი უმაღლესი განათლების მისაღებად, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადებისთვის;

მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდის პიროვნული პოტენციალის რეალიზებას, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადებას, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას, დაინტერესებულ პირებს შესთავაზოს მათი მოთხოვნების შესაბამისი, მაღალი ხარისხის განათლება;

მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადებას და გადამზადებას, შექმნას და განავითაროს პირობები კვლევისთვის; წახალისოს სტუდენტების და ლექტორების საერთაშორისო მობილობა, რაც მათ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების საშუალებას მისცემს.

უნივერსიტეტი სრულად იზიარებს საქართველოს მთავრობის სტრატეგიულ პრიორიტეტებს:

საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრის მიმდინარე და მომავალ მოთხოვნებთან;

ყველა დონეზე განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

უმაღლესი განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარება, რასაც პირდაპირი კავშირი აქვს საქართველოს ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება, სხვა მნიშვნელოვან საკითხებს გარდა, ითვალისწინებს განათლების, გადამზადებისა და ახალგაზრდობის, მეცნიერების, კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების საკითხებს. ამასთან, ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციები მნიშვნელოვან ფუნქციას აკისრებს უნივერსიტეტებს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის მიმართულებით, რაზეც ასევე აღებული აქვს ვალდებულება საქართველოს სახელმწიფოს.⁸ ძალიან მნიშვნელოვანია, ქართული განათლების სფერო დაუახლოვდეს განათლების სფეროში ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკასა და პრაქტიკას, რაც შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტების ეფექტური იმპლემენტაციით.

საქართველოს მთავრობის შეფასებით, გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ რჩება ბევრი გამოწვევა განათლების და გადამზადების სერვისების ხარისხთან და თანასწორ ხელმისაწვდომობასთან მიმართებით. გამოწვევებს შორისაა განათლების კავშირი

⁷ მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-თან, იქვე. გვ. 40.

⁸ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები

შრომის ბაზართან, შემოქმედებითი და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება განათლების ყველა საფეხურზე, ასევე, მეცნიერებისა და კვლევების ხელშეწყობა. ყურადღება ასევე გამახვილებულია სწრაფად მიმდინარე გლობალიზაციის და ტექნოლოგიური პროცესების გათვალისწინებით ცვლილებების საჭიროებებზე რამაც ახალი შესაძლებლობები წარმოქმნა განათლებისა და დასაქმების სფეროში.⁹ უახლესი ტენდენციები და კვლევები ცხადყოფს, რომ შრომის ბაზარზე განსხვავებული უნარ-ჩვევების საჭიროება ჩნდება, ასევე, ტექნოლოგიური პროგრესი წარმოშობს სამუშაო ადგილებზე თანდათანობით კადრების ავტომატიზირებული პროცესებით ჩანაცვლების პერსპექტივას. ამდენად, მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებით უზრუნველყოს ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, რაც კურსდამთავრებულს მომავალში ცვლილებებისადმი ადაპტირების საშუალებას მისცემს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ასევე აისახა საქართველოს მთავრობის სტრატეგიაში, არის ქართული საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაცია, კვლევებისა და ცოდნის გადრეზების გაძლიერება, აკადემიური პერსონალისა და კადრების, ასევე სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა, რათა დააკმაყოფილოს საერთაშორისო სტანდარტები და შეიქმნას ხარისხიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.¹⁰ აღნიშნული კი წარმოადგენს მთლიანად საგანმანათლებლო სივრცის, მისი ყველა წევრის, განსაკუთრებით კი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პასუხისმგებლობას და ქართული უნივერსიტეტისთვისაც ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტად დასახელდა.

⁹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2-17-2021, გვ. 3. გვ. 7.

¹⁰ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2-17-2021, გვ. 8.

უნივერსიტეტის შესახებ

ქართული უნივერსიტეტი 2008 წელს დაარსდა. დღეისათვის იგი წარმოადგენს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც ასევე მოპოვებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია და ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ორი სკოლა:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა

ინფორმატიკის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა.

ამ ეტაპზე ქართულ უნივერსიტეტს ჰყავს 1471 აქტიური სტატუსის სტუდენტი და 1152 კურსდამთავრებული. ამჟამად უნივერსიტეტში მოქმედებს 13 საბაკალავრო, 6 სამაგისტრო, 3 სადოქტორო და მასწავლებლის მომზადების ერთსაფეხურიანი აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამები.

გარდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა, 2010 წლიდან უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო მოსამზადებელი ცენტრი, სადაც ყოველწლიურად ირიცხებიან აბიტურიენტები სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფებში და ხორციელდება მათი ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადება. ასევე, 2011 წლიდან უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მთარგმნელ-თარჯიმანთა უმაღლესი სკოლა, რომლის მიზანს წარმოადგენს პროფესიონალი პრაქტიკოსი მთარგმნელებისა და თარჯიმნების მომზადება.


დღეისათვის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში 30 უნივერსიტეტი, 24 სასწავლო უნივერსიტეტი, 6 კოლეჯი და 8 მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი დაწესებულებაა წარმოდგენილი. 2018 წლისთვის, სსიპ - გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა 40500-მდე აბიტურიენტი¹¹. ბოლო წლების მანძილზე სურათი უმნიშვნელოდ იცვლება. უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა რაოდენობა ქვეყანაში დიდია, თუმცა, მთლიანობაში, უსდ-ების მიერ გამოცხადებული მისაღები ადგილების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება აბიტურიენტთა რაოდენობას, რაც განაპირობებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული სტუდენტთა კონტინგენტის შემცირების ტენდენციას. ქართული უნივერსიტეტი ადეკვატურად რეაგირებს მსგავს გარემოებებზე, რაც გამოიხატება უნივერსიტეტში გატარებული ღონისძიებებით, მათ შორის, მიზნობრივი ორგანიზაციული ცვლილებებით. 2018 წლის დასაწყისში ქართულმა უნივერსიტეტმა განახორციელა რიგი ღონისძიებები ამ მიმართულებით: გამოკვეთა მისთვის პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამები და მოახდინა საკუთარი რესურსების მობილიზება ამ პროგრამების ირგვლივ; გამოკვეთა საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც არ არის პრიორიტეტული და ეტაპობრივად მიმდინარეობს ამ პროგრამების გაუქმების პროცედურები და სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა; მოახდინა ფაკულტეტების და პერსონალის ოპტიმიზაცია და ოთხი ფაკულტეტის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა ორი სკოლა: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა და ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა. ასევე, გადაიდგა ნაბიჯები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით; დაფუძნდა სტუდენტთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამმართველო და სხვა.

¹¹ მათ შორის გათვალისწინებულია იმ აბიტურიენტთა რაოდენობა, რომლებიც გამოცდებში მონაწილეობდნენ გრანტის მიღების/გაუმჯობესების მიზნით. ასეთი აბიტურიენტების რაოდენობა, სსიპ გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მონაცემებით დაახლოებით 5000-მდეა. ასევე, ამავე რაოდენობაში გათვალისწინებულია ის აბიტურიენტები, რომლებიც დარეგისტრირდნენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, თუმცა, ვერ ჩააბარეს კატის გამოცდები, შესაბამისად, ვერ გახდნენ სტუდენტები.

ქართული უნივერსიტეტის წინაშე არსებული გამოწვევების და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, 2019 წლიდან კვლავ განხორციელდება რეორგანიზაცია, როგორც ადამიანური რესურსების, ისე სტრუქტურული ერთეულების ოპტიმიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტის მდგრად, სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, რისთვისაც გათვალისწინებული იქნება სამსახურიდან დათხოვნის საკომპენსაციო ხარჯებიც. აღნიშნულის პარალელურად, შეიქმნება საფინანსო სამსახური, უნივერსიტეტის საფინანსო ამოცანების ეფექტურად განხორციელების მიზნით.

ამასთან, უნივერსიტეტი მუდმივად იკვლევს საკუთარ პრაქტიკას და საჭიროების შემთხვევაში კვლავ განხორციელდება ორგანიზაციული თუ სხვა სახის ცვლილებები სტუდენტზე ცენტრირებული გარემოს განვითარების, სწავლების ხარისხის ამაღლების, დასაქმების ცვალებადი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინების, ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლების და სხვა პრიორიტეტული მიმართულებით.

უნივერსიტეტის სტრუქტურა



სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი უნივერსიტეტში წარიმართა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის¹² შესაბამისად. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილი იყო დაინტერესებული პირების ჩართულობა, უნივერსიტეტის შეფასების და პრიორიტეტების განსაზღვრის დონეზე. პროცესი წარიმართა პრიორიტეტების გათვალისწინებით უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის, მისაღწევი მიზნების დეკლარირების, მიზნის მიღწევის გზების და შესაბამისი ვადების განსაზღვრის, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურების გამოკვეთის და ანგარიშგების სისტემის შექმნის მიმართულებით.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეფექტიანად ორგანიზების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიით უზრუნველყო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების ჩამოყალიბება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში გაანალიზდა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი სტრატეგია;

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტები;

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები;

განახლებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები;

განახლებულ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, გარდა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების ანალიზისა, სტრატეგიის ფორმირების დროს, იყო სათანადო მეთოდოლოგიით გამოკითხვების წარმოება, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით მუშაობის შედეგების ანალიზი, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გაგება და ამ გზით, მათი ჩართვა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. საკითხები, რომელი მიმართულებითაც გააქტიურდა მსჯელობა, ფაქტობრივად, მოიცავდა უნივერსიტეტის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ყველა სფეროს, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ინსტიტუციური განვითარება, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება, კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესება, ინტერნაციონალიზაციის გაზრდა და სხვა, ყველა ის სფერო, რომელიც მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის საქმიანობის მიზნების მისაღწევად.

გარდა აღნიშნულისა, სტრატეგიის ფორმირების მიზნით, განხორციელდა უნივერსიტეტის საქმიანობის მანძილზე შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმების და მათგან გამომდინარე მიღწეული შედეგების გაანალიზება. შეგროვებული ინფორმაციის გათვალისწინებით, გამოიკვეთა უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, შეფასდა განვითარების შესაძლებლობები და რისკები, რის შედეგადაც, შესაძლებელი გახდა უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმართულებების, მიზნების დეკლარირება და მიზნების მისაღწევად კონკრეტული ამოცანების დასახვა.

SWOT ანალიზის შედეგები გამოყენებულია სტრატეგიული მიზნების და ამოცანების ფორმირების მიზნით.

¹² ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. დამტკიცებულია ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2018 წლის 20 თებერვლის №10 ბრძანებით

SWOT ანალიზის შედეგები
ინსტიტუციის ძლიერი მხარეები:
უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა; საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი პერსონალის მართვის პოლიტიკა უნივერსიტეტის პერსონალი პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სტუდენტური ცხოვრება სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებები საუნივერსიტეტო სასწავლო და სარეკრეაციო სივრცეები საუნივერსიტეტო ინვენტარი და ტექნიკა დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები უსაფრთხო გარემო სსსმ პირებისათვის ადაპტირებული გარემო ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის მოდელი ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები საზოგადოების განვითარებაში კონტრიბუცია
ინსტიტუციის სუსტი მხარეები:
ინტერნაციონალიზაცია პლაგიატის თავიდან არიდების მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკის ნაკლებობა დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან ნაწილობრივი შეუსაბამობა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის პრაქტიკა ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობა კვლევის შედეგების ინტეგრირება სასწავლო საქმიანობაში სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცესში უცხოელი შემფასებლების არარსებობა კვლევის მხარდაჭერა კვლევებში ახალგაზრდა კადრების ჩართულობის ნაკლებობა ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელშეწყობის მექანიზმები კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი და პროცედურა ავტოსადგომი სამიზნე ჯგუფების მოზიდვის მექანიზმები
ინსტიტუციის განვითარების შესაძლებლობები:
მართვის ეფექტიანობის გაზრდა EFQM მოდელის დანერგვის მეშვეობით ხარისხის კულტურის ამაღლება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი გაუმჯობესება კვლევების დაფინანსების მოდელის გაუმჯობესება სადოქტორო საფეხურზე პროგრამების განხორციელების ადმინისტრაციული ხელშეწყობის მოდელის გაუმჯობესება კვლევებში ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და ჩართვა საბიბლიოთეკო რესურსის განვითარება ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის განვითარება.
საფრთხეები:
აბიტურიენტთა სიმცირე ქვეყანაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან შედარებით არასტაბილური გარემო განვითარებისთვის (ხშირი ცვლილებები განათლების სისტემაში)

უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები

უნივერსიტეტის მისია:

ქართული უნივერსიტეტი დაფუძნებულია დემოკრატიის, ჰუმანიზმის იდეალებზე და მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო უნივერსალურ ღირებულებათა პარმონიზაციას, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

უნივერსიტეტის მისიაა, თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში, დაიცავს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მატერიალური და სულიერი ფასეულობები;

მოამზადოს შრომით ბაზარზე მოთხოვნილი მაღალი დონის სპეციალისტები;

შექმნას ისეთი სასწავლო შემოქმედებითი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს პიროვნების შემოქმედებითი პოტენციალის სრულ რეალიზებას;

სამეცნიერო კვლევების განვითარებისა და ინოვაციებისათვის სათანადო პირობების შექმნით მოამზადოს ახალი სამეცნიერო პერსონალი, რომელიც უპასუხებს ქვეყნის წინაშე არსებულ თანამედროვე გამოწვევებს.

უნივერსიტეტის ხედვა:

ქართული უნივერსიტეტის ხედვაა, 2025 წელს წარმოადგენდეს საქართველოში ერთ-ერთ ძლიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც:

სთავაზობს მომხმარებლებს მაღალი ხარისხის მომსახურებას და შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, ქვეყნიდან გაუსვლელად მიიღონ მაღალი ხარისხის, დასაქმების ცვალებად ბაზარზე ორიენტირებული განათლება და შეიძინონ როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მოთხოვნილი კომპეტენციები უნივერსიტეტის მიერ დასახელებულ პრიორიტეტულ საგანმანათლებლო მიმართულებებზე; ამასთან, ქმნის საუკეთესო პირობებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადებისთვის;

ხელს უწყობს ქართული სახელმწიფოებრიობის გაძლიერებას და ქართული საზოგადოების განვითარებას;

უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის კვლევებს და ხელს უწყობს საქართველოს შემსწავლელი კვლევების პოპულარიზაციას და საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე წარდგენას.

უნივერსიტეტის ღირებულებებია:

სტუდენტზე ორიენტირებულობა

ადამიანის უფლებების პატივისცემა

აკადემიური თავისუფლება და კეთილსინდისიერება

გამჭვირვალობა

სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვა

ხარისხიანი სერვისების შეთავაზება

პროფესიული ეთიკის დაცვა

სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით უნივერსიტეტში განისაზღვრა ხუთი სტრატეგიული მიმართულება, რომლებიც მოიცავს თქვესმეტ სტრატეგიულ მიზანს და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ყველა რესურსის განვითარებას. სტრატეგიული მიმართულებებია:

I. სწავლება - ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დახვეწას; პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების იდენტიფიცირებას და პროგრამების შინაარსობრივ და სტრუქტურულ გაუმჯობესებას;

II. კვლევების განვითარება - ითვალისწინებს კვლევების განვითარებას და უნივერსიტეტის კვლევითი ფუნქციის გაძლიერებას; კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას და ხარისხის ამაღლებას;

III. მიზნობრივი აუდიტორიის მოზიდვა და მათი ხელშეწყობა - ითვალისწინებს ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტების და მსმენელების მოზიდვის მექანიზმების განვითარებას; სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდამჭერი სერვისების განვითარებას; სტუდენტური ცხოვრების განვითარებას; სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარებას;

IV. საზოგადოების განვითარებაში კონტრიბუცია - ითვალისწინებს ინსტიტუციური პოტენციალის საზოგადოებისთვის სასარგებლოდ გამოყენებას, კერძოდ, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სისტემის განვითარებას; სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და სხვა პროგრამების და ღონისძიებების განხორციელებას და აკადემიური პერსონალის მონაწილეობას საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში;

V. ინსტიტუციური განვითარება - ითვალისწინებს ორგანიზაციული სტრუქტურის და მართვის გაუმჯობესებას; ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარებას; ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესებას; ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების განვითარებას; საბიბლიოთეკო სერვისების და მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარებას.

მიმართულება I. სწავლება

სტრატეგიული მიზანი 1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დახვეწა

სიტუაციური მიმოხილვა:

პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების (მათ შორის, ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების) დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია (სახელმძღვანელო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული პირებისთვის), რომელიც გამოიყენება როგორც ახალი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების ეტაპზე, ისე მათი განვითარების მიზნით. ამასთან, რადგან უნივერსიტეტი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში შედარებით ახალია, შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავებაც მცირე ხნის წინ განხორციელდა და მისი გამოყენების პრაქტიკაც ნაკლებია, მომდევნო ეტაპზე უნივერსიტეტი გეგმავს პროცესში ჩართული პირების ჩართულობით შეაფასოს აღნიშნული მეთოდოლოგია, გამოკვეთოს საჭიროებები და გააუმჯობესოს აღნიშნული დოკუმენტი, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების

შემუშავების/განხორციელების მენეჯმენტს, დაეხმარება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს, უკეთ უპასუხებს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროების მქონე სტუდენტების ინტერესებს და გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკა

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესი. აღნიშნული ერთგვარი სიახლეა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. მეთოდოლოგია შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს არამხოლოდ სტუდენტი სასწავლო კურსის დონეზე, არამედ კურსდამთავრებული, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან მიმართებით, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მიღწევის გადამოწმებას და იძლევა შესაძლებლობას, წარმოჩინდეს ის სფეროები, სადაც საჭიროა ცვლილებების გატარება. უნივერსიტეტი გეგმავს სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკის განვითარებას. საამისოდ, დაგეგმილია ამ პროცესში ჩართული პირებისათვის სათანადო კონსულტაციების გაწევა, აქტიურად განხორციელდება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის მონიტორინგი, ამასთან, დაინტერესებული პირების ჩართულობით მომავალში მოხდება აღნიშნული მეთოდოლოგიის დახვეწაც.

პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები და პროცესები

უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით მოწესრიგებულია საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების საკითხები, შესაბამისი პროცედურები დეტალურად აღწერს პროცესში ჩართული პირების მიერ განსახორციელებელ აქტივობებს. პროგრამის დამტკიცების/ცვლილების შეტანის/გაუქმების პროცედურა ითვალისწინებს სკოლის საბჭოს სხდომაზე მის განხილვას ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის ჩართულობით და გადაწყვეტილების მიღებას, შემდეგ კი - რექტორის ბრძანებით აღნიშნული ცვლილებების დამტკიცებას. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის თუ მასზე თანდართული სილაბუსის ტექსტში ნებისმიერი ცვლილება, მათ შორის, ლიტერატურის თუ სასწავლო კურსის ლექტორის მხრიდან დაგეგმილი აქტივობების ცვლილების შემთხვევაშიც, საჭიროებს ამ პროცედურის დაცვას, რის გამოც ეს პროცესი ნაკლებად მოქნილია და აღნიშნული, თავის მხრივ, იწვევს ლექტორების მხრიდან ისეთი აქტივობების დაგეგმვას, რაც გათვალისწინებული არ არის სილაბუსში, რაც არასახარბიელოა სტუდენტებისთვის და ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მხრიდანაც ართულებს სასწავლო კურსების დაგეგმილის მიხედვით განხორციელების შეფასების პროცესს, ხოლო ლექტორების ნაწილი თავს იკავებს სილაბუსებში ცვლილებების განხორციელებისაგან ბიუროკრატიული პროცედურების გამო, რაც ასევე არასახარბიელოა. მიზანშეწონილია, ყველა სასწავლო კურსში საჭიროებების გათვალისწინებით, მარტივად ხორციელდებოდეს ცვლილებები.

უნივერსიტეტმა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შეაფასა აღნიშნული პროცესი და მომდევნო ეტაპზე გეგმავს პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით მოახდინოს პროცესების ოპტიმიზაცია, რაც შესაძლებლობას მისცემს პროცესში ჩართულ მხარეებს, ერთ სივრცეში ატვირთონ მათი მხრიდან მოსამზადებლად სავალდებულო დოკუმენტები, გაცვალონ იდეები და მარტივი პროცედურით (გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირის მხრიდან თანხმობის გამოხატვით) იყოს შესაძლებელი პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, მათ შორის, ცვლილების არსის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იყოს სხვადასხვა პირების ჩართულობა. ამასთან, ლექტორს თავისუფლად შეეძლება, საკუთარი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში,

სილაბუსის ცვლილება, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურს ექნება ამ პროცესის ხედვის და პრაქტიკაში დაკვირვების საშუალება.

ამდენად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგი სახით:

ამოცანა 1.1: პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ანალიზი დაინტერესებული პირების ჩართულობით და მიღებული შედეგების გათვალისწინებით საჭირო ცვლილებების განხორციელება/საჭირო აქტივობების დაგეგმვა;

ამოცანა 1.2: ინდივიდუალური პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ანალიზი დაინტერესებული პირების ჩართულობით. ინდივიდუალური პროგრამების/გეგმების შემუშავების/განვითარების მეთოდოლოგიის დახვეწა;

ამოცანა 1.3: სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკის განვითარება;

ამოცანა 1.4: საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურების და პროცესების ოპტიმიზაცია.

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

გაუმჯობესებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

გაუმჯობესებულია ინდივიდუალური პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

განვითარებულია სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკა;

პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები უფრო ოპტიმალური და მოქნილია.

სტრატეგიული მიზანი 2. პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების იდენტიფიცირება; პროგრამების შინაარსობრივი განვითარება და სტრუქტურული გაუმჯობესება

სიტუაციური მიმოხილვა:

პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების გამოკვეთა და შესაბამისი პროგრამების აკრედიტაცია/რეაკრედიტაცია

უნივერსიტეტმა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებამდე განსაზღვრა პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამები, აღნიშნულს საფუძვლად დაედო შრომის ბაზარზე გამოკვეთილი ტენდენციები, დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი, უნივერსიტეტის რესურსების შეფასება და საუნივერსიტეტო საზოგადოების პრიორიტეტები. შედეგად, უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილის გაუქმების/მიღევად რეჟიმში გადასვლის შესახებ, ასევე, გამოკვეთა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების აუცილებლობა. ამდენად, უნივერსიტეტი გეგმავს სწორედ პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამები განავითაროს სტრატეგიული დაგეგმვის ვადით, უზრუნველყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია/რეაკრედიტაცია.

მთლიანობაში, მომდევნო ეტაპზე შემცირდება სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები და გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, შინაარსობრივად გადამუშავდება. მომდევნო წელს დაფინანსდება შემდეგი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

ეკონომიკა;

ბიზნესის ადმინისტრირება;

ფსიქოლოგია;
ტურიზმის ბიზნესი;
კომპიუტერული მეცნიერება.
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის პროგრამები:
სამართალი;
საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესები;
ისტორია;
ფილოლოგია;
ინგლისური ფილოლოგია.

ასევე, მუშავდება და 2019 წელს მოხდება საერთაშორისო ურთიერთობებისა და საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამების აკრედიტაციის მიზნით წარდგენა. თავის მხრივ, იგეგმება საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების (მისანიჭებელი კვალიფიკაცია: რეგიონმცოდნეობის ბაკალავრი) მიღევად რეჟიმში გადასვლა და მომავალში - გაუქმება. ასევე უქმდება შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები: გამოყენებითი ეკოლოგია, მათემატიკა, სოციოლოგია (სოციოლოგია, დემოგრაფია), ინფორმატიკა (გამომდინარე იქედან, რომ უნივერსიტეტს უკვე ასევე აქვს კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა, რომელიც შემუშავებულია ACM სტანდარტების მიხედვით და სრულად პასუხობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მოთხოვნებს.

დაფინანსდება სამაგისტრო პროგრამები ორივე სკოლაში:

ეკონომიკა;
ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი);
ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება;
სამართალი;
საჯარო მმართველობა;

საქართველოს ისტორია. ასევე, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები ენათმეცნიერება და ქართული ლიტერატურის ისტორია, თუმცა, ხელახალი აკრედიტაციის მიზნით იგეგმება აღნიშნული პროგრამების გაერთიანება და ახალი სახით, მისანიჭებელი კვალიფიკაციით - ფილოლოგიის მაგისტრი, წარდგენა.

2019 წლიდან გაუქმდება სამაგისტრო პროგრამები: მათემატიკა და ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი. გასული წლების მანძილზე აღნიშნულმა პროგრამებმა ვერ შეძლეს სტუდენტების მოზიდვა. ასევე გაუქმდება სამაგისტრო პროგრამა საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და კომპიუტერულ მოდელირებაში, რომელიც შინაარსობრივი თავლსაზრისით არსებითად საჭიროებს გადამუშავებას, რათა შესაბამისობაში მოვიდეს AMC სტანდარტებთან, მოგვიანებით განხორციელდება ახალი სამაგისტრო პროგრამის შემუშავება -- სტანდარტების შესაბამისად და 2022 წელს დაგეგმილია პროგრამის აკრედიტაცია.

2019 წელს იგეგმება შემდეგი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმება:

ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმია და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზა;
გეოფიზიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
ბიოტექნოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;

კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და მათემატიკური მოდელირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;

კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და მათემატიკური მოდელირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;

ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;

თარგმანმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა.

ზემოთჩამოთვლილი საგანმანათლებლო პროგრამებიდან უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტულს წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის სადოქტორო პროგრამები, თუმცა, უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ეტაპზე მნიშვნელოვანია პროგრამების გადამუშავება და მხოლოდ ამის შემდეგ მისი აკრედიტაციის მიზნით წარდგენა. ამდენად, 2019 წელს მოხდება ამ პროგრამებზე უკვე ჩარიცხული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა, მათი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ეტაპობრივად გადასვლა და უნივერსიტეტის მხრიდან საჭიროების შემთხვევაში, სათანადო კომპენსაცია/მიმღებ უნივერსიტეტში სწავლის დაფინანსება, იმის გათვალისწინებით, რამდენი კრედიტის აღიარება მოხდება მიმღები საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

მომდევნო სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით უნივერსიტეტი კვლავ განახორციელებს ასეთ ანალიზს, რაც შესაძლოა, საფუძვლად დაედოს მომდევნო ეტაპზე ნაკლებადპრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმებას ან/და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი განვითარება და სტრუქტურული გაუმჯობესება:

უნივერსიტეტი გეგმავს გამოკვეთილი პრიორიტეტული მიმართულებების/სპეციალობების შესახებ ბენჩმარკინგის განხორციელებას, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლას და მის გამოყენებას პროგრამების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. დაგეგმილია მუშაობა სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნების, საგანმანათლებლო პროგრამებში შეფასების სისტემის და შეფასების მეთოდების დახვეწის, დამსაქმებელთა მოთხოვნების უკეთ ინტეგრირების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერების და შესაბამისი პროცედურების დახვეწის; ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კომპონენტების განვითარების, სწავლის შედეგების დახვეწის და პროგრამებში სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების ინტეგრირების, ქართული და უცხოური ლიტერატურის მუდმივი განახლების, მათ შორის, უცხოენოვანი ლიტერატურის წილის გაზრდის, საგანმანათლებლო პროგრამებში უცხოენოვანი სასწავლო კურსების გათვალისწინების და შიდა და გარე შეფასების შედეგების ასახვის მიმართულებით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის განსაკუთრებული პრიორიტეტია ინტერნაციონალიზაციის გაზრდა, რა მიზნითაც, საგანმანათლებლო პროგრამულ დონეზე უნივერსიტეტმა იზრუნა და გაზარდა საკონტაქტო საათების და კრედიტების მოცულობა უცხო ენებისთვის, მომდევნო ეტაპზე განხორციელდება უცხოენოვანი ლიტერატურის უფრო ინტენსიურად გათვალისწინება სასწავლო კურსების სილაბუსებში, ასევე, სწავლების სამივე საფეხურზე მოხდება ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების დამატება.

ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

მომდევნო შვიდი წლის მანძილზე უნივერსიტეტს გეგმაში აქვს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და განვითარება პარტნიორ უნივერსიტეტთან. ამისათვის, უნივერსიტეტი აწარმოებს შესაბამის მოლაპარაკებებს, შეირჩა პროგრამული მიმართულება. მემორანდუმის გაფორმების შემდეგ შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის და კვალიფიკაციის მინიჭების წესის შემუშავებას და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებას, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტაციის პროცედურის გავლას.

ამდენად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგი სახით:

ამოცანა 2.1. პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების იდენტიფიცირება და შესაბამისი პროგრამების აკრედიტაცია/რეაკრედიტაცია

ამოცანა 2.2. საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი განვითარება და სტრუქტურული გაუმჯობესება

ქვე-ამოცანა 2.2.1. სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამებში

ქვე-ამოცანა 2.2.2. საგანმანათლებლო პროგრამებში შეფასების სისტემის და შეფასების მეთოდების დახვეწა

ქვე-ამოცანა 2.2.3. დამსაქმებელთა მოთხოვნების უკეთ გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამებში

ქვე-ამოცანა 2.2.4. პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და შესაბამისი პროცედურების დახვეწა

ქვე-ამოცანა 2.2.5. ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კომპონენტების განვითარება

ქვე-ამოცანა 2.2.6. პროგრამებში (სილაბუსებში) უახლესი და აქტუალური, მათ შორის, ინგლისური, ლიტერატურის დამატება, არსებული ლიტერატურის განახლება საჭირო პერიოდულობით.

ქვე-ამოცანა 2.2.7. ინგლისური სასწავლო კურსების გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამებში

ქვე-ამოცანა 2.2.8. შიდა და გარე შეფასების შედეგების ასახვა საგანმანათლებლო პროგრამაში

ქვე-ამოცანა 2.2.9. საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების განსაზღვრა (საგანმანათლებლო პროგრამების იმ ნაწილში, სადაც აღნიშნული ჯერ არ განხორციელებულა)

ქვე-ამოცანა 2.2.10. პროგრამების სტრუქტურის განახლება საუნივერსიტეტო წესის შესაბამისად, სწავლის შედეგების რუკის განახლება

ამოცანა 2.3. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს საკუთარი პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებები და შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე გავლილი აქვს აკრედიტაცია.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები შინაარსობრივად და სტრუქტურულად გაუმჯობესებულია. გამოყენებულია ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა; პროგრამებში გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები; საგანმანათლებლო პროგრამებში დახვეწილია შეფასების სისტემისა და შეფასების მეთოდები; საგანმანათლებლო პროგრამებში გამოყენებულია დამსაქმებელთა მოთხოვნები; საგანმანათლებლო პროგრამებში გაძლიერებულია პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელი კომპონენტები და გაუმჯობესებულია პრაქტიკული კომპონენტის გავლის პროცედურული საკითხები; საგანმანათლებლო პროგრამებში გაძლიერებულია ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კომპონენტები; ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია უკეთ, ადვილად გასაგები სახით; ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; საგანმანათლებლო პროგრამებში გამოყენებულია უახლესი და აქტუალური ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა; საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლების სამივე საფეხურზე გათვალისწინებულია უცხოენოვანი სასწავლო კურსები; განახლებულია ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და სწავლის შედეგების რუკა; საგანმანათლებლო პროგრამებში ასახულია შიდა და გარე შეფასების შედეგები.

უნივერსიტეტს აქვს ერთობლივი, აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა.

მიმართულება II.კვლევა

სტრატეგიული მიზანი 3. კვლევების განვითარება და უნივერსიტეტის კვლევითი ფუნქციის გაძლიერება

სიტუაციური მიმოხილვა:

ქართული უნივერსიტეტი არის კვლევითი უნივერსიტეტი და გარდა იმისა, რომ ახორციელებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს, მიზნად ისახავს, კვლევის სათანადო დოზით ინტეგრირებას საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზეც, ამასთან, არამხოლოდ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების სახით. მიზანშეწონილია, მცირემასშტაბიანი კვლევითი კომპონენტები ინტეგრირებული იყოს სასწავლო კურსების დონეზეც, რეფერატის/კვლევითი პროექტების სახით, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებში კვლევითი პოტენციალის განვითარებას. სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია შესაბამისი კომპონენტი (რეფერატი/კვლევითი პროექტი და სხვა.), აღნიშნული კომპონენტი მომავალში მეტად დაიხვეწება და დამუშავდება სასწავლო კურსის შინაარსის გათვალისწინებით, დაგეგმილია პროგრამაში ჩართული პერსონალისათვის შესაბამისი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება.

ამასთან, უნივერსიტეტში დაგეგმილია ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე კვლევის შედეგების გაზიარებისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალის დაფუძნებას და პერიოდული კონფერენციების ორგანიზებას. დაიგეგმა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ჩართულობის გაზრდა საერთაშორისო კვლევებში, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ საერთაშორისო გამოცემებში ნაშრომების გამოქვეყნების რაოდენობის გაზრდა, უნივერსიტეტის პერსონალის მიერ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში გაკეთებული მოხსენებების რაოდენობის გაზრდა, საერთაშორისო კვლევით ერთეულებთან და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობით კვლევების განხორციელება (მათ შორის, ევროკავშირის სამეცნიერო - კვლევით პროგრამებში ჩართულობა), ეკონომიკური აგენტების დაკვეთით მიზნობრივი კვლევების განხორციელება. ამასთან, უნივერსიტეტი იზრუნებს ახალგაზრდა კადრების მოზიდვაზე და კვლევით საქმიანობაში ჩართვაზე.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგი სახით:

ამოცანა 3.1. კვლევების უკეთ ინტეგრირება სასწავლო საქმიანობაში

ამოცანა 3.2. კვლევების განხორციელება და კვლევის შედეგების გაზიარება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე

ამოცანა 3.3. საერთაშორისო კვლევით ერთეულებთან და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობით კვლევების განხორციელება

ამოცანა 3.4. ეკონომიკური აგენტების/სხვა ინსტიტუციების დაკვეთით მიზნობრივი კვლევების განხორციელება

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო საქმიანობაში გაზრდილია კვლევის წილი;

კვლევის შედეგები გაზიარებულია ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე;

გაზრდილია საერთაშორისო კვლევებში ჩართულობის მაჩვენებელი;

გაზრდილია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ საერთაშორისო გამოცემებში ნაშრომების გამოქვეყნების მაჩვენებელი;

გაზრდილია ქართული უნივერსიტეტის პერსონალის მიერ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში გაკეთებული მოხსენებების მაჩვენებელი;

- გაზრდილია საერთაშორისო კვლევით ერთეულებთან და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობით კვლევების განხორციელების მაჩვენებელი
- ეკონომიკური აგენტების დაკვეთით განხორციელებულია მიზნობრივი კვლევები;
- გაზრდილია კვლევით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების ჩართულობის მაჩვენებელი.

სტრატეგიული მიზანი 4. კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა

სიტუაციური მიმოხილვა:

უნივერსიტეტი გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯებს კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით. უნივერსიტეტში მოქმედი კვლევების დაფინანსების სისტემა გულისხმობს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მუშაობის ანაზღაურებას, სამეცნიერო ღონისძიებების დაფინანსებას, სამეცნიერო მივლინების ანაზღაურებას, სამეცნიერო გამოცემების დაფინანსებას, პერსონალის წახალისებას და სხვა. ამასთან, მომდევნო ეტაპზე დაგეგმილია, შეფასდეს კვლევების დაფინანსების სისტემის ეფექტიანობა, რასაც, შესაძლოა, მოჰყვეს ცვლილებების განხორციელებაც, გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით. კვლევის დაფინანსების განსხვავებული მოდელის შემოღებას მოსალოდნელია, რომ მოჰყვება ეფექტიანობის გაზრდაც.

კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ასევე, დაგეგმილია აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტებისათვის კონსულტირების მექანიზმის განვითარება, ასევე, ტრენინგების ჩატარება სამეცნიერო პროექტების წერის და ანგარიშების, სხვადასხვა წყაროდან დაფინანსების მოპოვების და სხვა მიზნობრივ საკითხებზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სამეცნიერო პროექტებში ჩართულობას და გაზარდოს შესაბამისი მაჩვენებლები. დასახული მიზნის მისაღწევად ასევე მნიშვნელოვანია სწორი წახალისების პოლიტიკის გატარება, რაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგი სახით:

ამოცანა 4.1. დაფინანსების სისტემის ეფექტიანობის შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელება

ამოცანა 4.2. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის და სტუდენტებისათვის შეხვედრების და ტრენინგების ორგანიზება და კონსულტირება, სამეცნიერო პროექტების წერის და ანგარიშების, სხვადასხვა წყაროდან დაფინანსების მოპოვების და სხვა მიზნობრივ საკითხებზე

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

გაუმჯობესებულია კვლევითი საქმიანობის დაფინანსების სისტემა;

გაუმჯობესებულია აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის და სტუდენტებისათვის ხელშეწყობის მექანიზმი სამეცნიერო პროექტების წერის და ანგარიშების, სხვადასხვა წყაროდან დაფინანსების მოპოვების და სხვა მიზნობრივ საკითხებზე.

სტრატეგიული მიზანი 5. კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება

სიტუაციური მიმოხილვა:

კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს დოქტორანტის/მაგისტრანტის ხელმძღვანელის ფუნქციები, რომელიც

წარმოადგენს ხელმძღვანელსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების. ამასთან, უნივერსიტეტს აქვს რეგულაციები, რომლებიც აწესრიგებენ სამაგისტრო/სადოქტორო საფეხურზე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულების და შეფასების წესებს. რეგულაციები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია ეს პროცესი გახდეს უფრო ეფექტურიც. ამისათვის, უნივერსიტეტი გეგმავს პროცესში ჩართული პირების გამოკითხვების ორგანიზებას, სტუდენტებიდან და მათი ხელმძღვანელებისგან მიღებული მოსაზრებების და რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაძლებელია წესების და პროცედურების მეტად მორგება საჭიროებებზე. ამასთან, დაგეგმილია უცხოელი შემფასებლების ჩართვა სადოქტორო ნაშრომების შეფასების პროცესში.

უნივერსიტეტი პერიოდულად აფასებს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო მუშაობას, შესაბამისი რეგულაციების დაცვით. ამასთან, მომდევნო ეტაპზე გეგმავს კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმების დახვეწას, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის შეფასებას და ანალიზს და შეფასების შედეგების გამოიყენებას კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.

უნივერსიტეტის საქმიანობა ასევე წარიმართება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების განმტკიცების მიმართულებით. უნივერსიტეტს აქვს პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების პროცედურები, მომავალში ეს მექანიზმები მეტად განვითარდება; უმოკლეს ვადებში დაგეგმილია პლაგიატის აღმოჩენის/თავიდან აცილებისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა. ამასთან, უნივერსიტეტის აქვს ეთიკის კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევაში შესაბამის პროცედურებს. იგეგმება ეთიკის კოდექსის განახლება, რათა მეტად უპასუხოს საჭიროებებს; მოხდება პლაგიატის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება - შესაბამისი საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელება.

კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლების მიზნით, ასევე დაგეგმილია უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის მუშაობაში და უნივერსიტეტში ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში სამეცნიერო კომიტეტის წევრის სტატუსით უცხოელი შემფასებლების ჩართვა.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგი სახით:

ამოცანა 5.1 კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა

ამოცანა 5.2. სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში და სადოქტორო ნაშრომებზე მუშაობის/შეფასების პროცესში უცხოელი მკვლევარების ჩართვა

ამოცანა 5.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება და შეფასების მექანიზმების დახვეწა

ამოცანა 5.4. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების განმტკიცება

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

უნივერსიტეტში კვლევების ხელმძღვანელობა ეფექტურია;

დოქტორანტის/მკვლევრის ხელმძღვანელის ფუნქციების გადახალისებულია საჭიროების შესაბამისად (შეფასების გათვალისწინებით);

გაუმჯობესებულია სამაგისტრო ნაშრომების შეფასების წესი;

შეფასებული და გაუმჯობესებულია ნაშრომების და პროექტების ხარისხი;

გაუმჯობესებულია სადისერტაციო ნაშრომების შეფასებისა და დაცვის მარეგულირებელი წესები;

სადოქტორო ნაშრომების შეფასების პროცესში მონაწილეობენ უცხოელი სპეციალისტები;

სათანადო მეთოდოლოგიით საჭირო პერიოდულობით განხორციელებულია კვლევითი საქმიანობის შეფასება;

გაუმჯობესებულია კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმები;

განხორციელებულია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის შეფასება;

გამოქვეყნებულია ანგარიშები განხორციელებული კვლევების შესახებ;

შეფასების შედეგები გამოყენებულია უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის;

უნივერსიტეტში განმტკიცებულია აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები. კერძოდ, გაუმჯობესებულია პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების პროცედურები; გაუმჯობესებულია ეთიკისა და ქცევის წესების გადახედვა და წესების დარღვევაზე რეაგირების პროცედურების; დანერგილია პლაგიატის აღმოჩენის/თავიდან აცილებისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა; გატარებულია პლაგიატის საწინააღმდეგო საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები;

უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის საქმიანობაში ჩართულია უცხოელი შემფასებელი;

უნივერსიტეტში ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში სამეცნიერო კომიტეტის წევრის სტატუსით ჩართულია უცხოელი სპეციალისტი.

მიმართულება III. მიზნობრივი აუდიტორიის მოზიდვა და მათი ხელშეწყობა

სტრატეგიული მიზანი 6. ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტების და მსმენელების მოზიდვა

სიტუაციური მიმოხილვა:

სტუდენტების მოზიდვის მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა სახის ღონისძიებას, როგორცაა ღია კარის დღე, რეკლამა სოციალურ ქსელში, ვიდეო რგოლები და ა.შ. უნივერსიტეტი გეგმავს სტუდენტების მოზიდვის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში მიდგომების შეცვლას და სტუდენტების მოზიდვის მიზნით ახალი ღონისძიებების დაგეგმვას; უნივერსიტეტი მომავალში იზრუნებს უცხოელი სტუდენტების მოზიდვაზეც, რადგან დაგეგმილია ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, უნივერსიტეტი გეგმავს მოზიდოს მსმენელები მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებზეც. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა გათვალისწინებულია სტრატეგიულ მიზანში #10-ში.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგი სახით:

ამოცანა 6.1. სამიზნე ჯგუფების მოზიდვის მექანიზმების განვითარება

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

გაუმჯობესებულია ადგილობრივი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმები;

შემუშავებულია უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმები;

გატარებულია მოკლევადიანი პროგრამის მსმენელების მოზიდვის ღონისძიებები.

სტრატეგიული მიზანი 7. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდამჭერი სერვისების განვითარება

სიტუაციური მიმოხილვა:

უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტია სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს განვითარება, რაც საქმიანობის ყველა მიმართულებაში უნდა გამოიკვეთოს. სასწავლო პროცესის

განვითარების პარალელურად დაგეგმილია სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება. აქტიურად უნდა შეეწყოს ხელი სტუდენტების საერთაშორისო მობილობასა და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობას, რისთვისაც ხორციელდება და მომავალშიც გაგრძელდება სტუდენტების კონსულტირება, საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა, გზამკვლელების შექმნა.

ასევე დაგეგმილია სტუდენტების საჩივრების განხილვის მექანიზმის შეფასება და შესაბამისი საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში - აღნიშნული მოდელის შეცვლა. ეწყობა სივრცეები ჯგუფური მუშაობისათვის.

უნივერსიტეტი ითვალისწინებს სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების ინტერესებს, რისთვისაც, სთავაზობს გადახდის მოქნილ გრაფიკს, დაფინანსების შესაძლებლობას და სხვა. ამასთან, მომავალში იგეგმება აღნიშნული მექანიზმების განვითარება.

ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანის სახით, უნივერსიტეტმა დაისახა კურსდამთავრებულთა მხარდაჭერაც და გეგმავს, ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულთა ასოციაციის შექმნას და მხარი დაუჭიროს მას შემდგომ საქმიანობაში, ხელი შეუწყოს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შორის კონტაქტების გაღრმავებას და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების დასახვას.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგი სახით:

ამოცანა 7.1. სტუდენტთა მხარდაჭერა

ამოცანა 7.2. კურსდამთავრებულთა მხარდაჭერა

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

უნივერსიტეტში განვითარებულია სტუდენტთა მხარდამჭერი მექანიზმები: გატარებულია სტუდენტებისათვის საერთაშორისო მობილობისა და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობის ღონისძიებები; სტუდენტები რეგულარულად ეცნობიან საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობებს და იღებენ საჭირო კონსულტირება/დახმარებას; განვითარებულია სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისები; უნივერსიტეტში შემუშავებულია სტუდენტთა გზამკვლევი, რომელიც ახლდება სათანადო პერიოდულობით; უნივერსიტეტში არსებობს სივრცეები ჯგუფური მუშაობისათვის; უნივერსიტეტში დანერგილია აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით სტუდენტის საჩივრების განხილვის მექანიზმის ეფექტიანი მექანიზმი; უნივერსიტეტში განვითარებულია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება; შექმნილია კურსდამთავრებულთა ასოციაცია, რომლის საქმიანობაც ხელშეწყობილია უნივერსიტეტის მხრიდან; დანერგილია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შეხვედრის/წვეულების ორგანიზების (alumni წვეულება) პრაქტიკა.

სტრატეგიული მიზანი 8. სტუდენტური ცხოვრების განვითარება

სიტუაციური მიმოხილვა:

უნივერსიტეტი მომდევნო წლების მანძილზე იზრუნებს სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებაზე. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული - სპორტისა და სტუდენტური ცხოვრების ორგანიზების სამსახური, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებს სპორტულ/სახელოვნო და სხვა სახის საქმიანობაში, მათი ინტერესების შესაბამისად. ამ მხრივ, საკმაოდ აქტიური და მრავალფეროვანია ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრება. მომდევნო წლების მანძილზე დაიგეგმა სპორტული გუნდების რაოდენობის გაზრდა და უნივერსიტეტის სპორტული გუნდებისთვის პირობების გაუმჯობესება, ჩემპიონატებში მიღებული შედეგების გასაუმჯობესებლად. ასევე, დაგეგმილია, წარმატებული სტუდენტების წამახალისებელი

ლონისძიებების გატარება; გარდა სპორტის და სახელოვნებო ღონისძიებებისა, მეტად უნდა შეეწყოს ხელი სტუდენტური თვითმმართველი კლუბების ჩამოყალიბებას და მათ საქმიანობას; იგეგმება საჯარო ლექციებისა და დისკუსიების რეგულარულად მოწყობა სტუდენტებისათვის საინტერესო საკითხებზე და მთლიანობაში, არასალექციო სტუდენტურ აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგი სახით:

ამოცანა 8.1. სპორტული ცხოვრების განვითარება

ამოცანა 8.2. სტუდენტური შემოქმედებითი/სახელოვნებო ცხოვრების განვითარება

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

- გაუმჯობესებულია პირობები უნივერსიტეტის სპორტული გუნდებისათვის;
- სპორტულ/სახელოვნებო და/ან სხვა მიმართულებით წარმატებული სტუდენტების წახალისებისათვის გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები;
- გაზრდილია სპორტული გუნდების რაოდენობა;
- გაუმჯობესებულია პირობები სტუდენტური თვითმმართველი კლუბების ჩამოყალიბებისა და საქმიანობისათვის;
- განხორციელებულია საჯარო ლექციები და დისკუსიები სტუდენტებისათვის საინტერესო საკითხებზე;
- გაზრდილია სტუდენტთა ჩართულობა არასალექციო სტუდენტურ ღონისძიებებში.

სტრატეგიული მიზანი 9. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარება

სიტუაციური მიმოხილვა:

უნივერსიტეტი აქტიურად გეგმავს მუშაობას სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების მიზნით. უნივერსიტეტში შეიქმნა შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, სტუდენტთა დასაქმების და კარიერული განვითარების სამმართველოს სახით, რომელიც მოახდენს დამსაქმებელთა ბაზის ფორმირებას (აღსანიშნავია, რომ თანამშრომლობა უნივერსიტეტს შესაბამის პოტენციურ დამსაქმებლებთან უკვე აქვს. თუმცა, იგეგმება ახალი თანამშრომლობის დამყარებაც), შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების პერიოდულ კვლევას, პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობით მიზნობრივი ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას, უზრუნველყოფს სტუდენტთა პორტალის შექმნას და რეგულარულად მოახდენს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინფორმირებას არსებული ვაკანსიების, პრაქტიკის და სტაჟირების შესახებ. ასევე, უზრუნველყოფს რეგულარული ტრენინგების/საინფორმაციო სახის ღონისძიებების ორგანიზებას და პრაქტიკული უნარების განმავითარებელი ღონისძიებების განხორციელებას, საკუთარი გამოცდილების გაზიარების მიზნით სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების მოწვევას და შეხვედრების ორგანიზებას, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს სწორ პროფესიულ ორიენტაციაში, წარმატებით დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაში.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგი სახით:

ამოცანა 9.1. პოტენციურ დამსაქმებლებთან მუშაობა

ამოცანა 9.2. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პორტალის შექმნა

ამოცანა 9.3. პრაქტიკული უნარების განმავითარებელი ღონისძიებების განხორციელება

ამოცანა 9.4. კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სტუდენტთათვის ტრენინგების და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

უნივერსიტეტს აქვს დამსაქმებელთა ბაზა და სტუდენტთა პორტალი
სტუდენტებს უკვე აქვთ განვითარებული პრაქტიკული უნარები
სტუდენტებს აქვთ უკეთესი თვითპრეზენტაციის უნარი.

მიმართულება IV. საზოგადოების განვითარებაში კონტრიბუცია

სტრატეგიული მიზანი 10. ინსტიტუციური პოტენციალის საზოგადოებისათვის სასარგებლოდ გამოყენება

სიტუაციური მიმოხილვა:

უნივერსიტეტი მიზნად ისახავს, საკუთარი რესურსით წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში და ამ მიზნით, რეგულარულად ახორციელებს და მომავალშიც აქტიურად გეგმავს სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და სხვა სახის ღონისძიებების ჩატარებას, აკადემიური პერსონალის ჩართულობას მნიშვნელოვანი თემების განხილვაში, მათი პოტენციალის საზოგადოებისათვის სასარგებლოდ გამოყენების მიზნით. ასევე, მომდევნო ეტაპზე დაგეგმილია, უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვლევითი პოტენციალის გათვალისწინებით საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის პრაქტიკის განვითარება და სხვადასხვა ინსტიტუციისათვის მიზნობრივი კვლევების ჩატარება.

მომდევნო წლებში ასევე შეიქმნება სამართლის საუნივერსიტეტო კლინიკა, რომელიც დანერგავს უფასო იურიდიული კონსულტაციების გაწევის პრაქტიკას.

სიტუაციური მიმოხილვა:

საზოგადოების განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით, უნივერსიტეტი ასევე გეგმავს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სისტემის განვითარებას. უნივერსიტეტს შესაბამისი მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გამოცდილება უკვე აქვს, თუმცა, მომავალში უფრო ინტენსიური და სისტემატიზირებული სახე მიეცემა, ამ მიზნით, დაგეგმილია კონკრეტული პასუხისმგებელი სტრუქტურის ჩამოყალიბება, კონკრეტული მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება. პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით დაიგეგმება საჭირო აქტივობები.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგი სახით:

ამოცანა 10.1. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სისტემის განვითარება

ამოცანა 10.2. სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და სხვა პროგრამების და ღონისძიებების განხორციელება

ამოცანა 10.3. აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში

ამოცანა 10.4. სამართლის საუნივერსიტეტო კლინიკის შექმნა

მიმართულება V. ინსტიტუციური განვითარება

სტრატეგიული მიზანი 11. ორგანიზაციული სტრუქტურის და მართვის გაუმჯობესება

სიტუაციური მიმოხილვა:

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების გეგმიური მონიტორინგი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების გეგმიური მონიტორინგის მექანიზმები, დამტკიცებულია შესაბამისი მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განხორციელდება სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება. სტრატეგიის შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მხრიდან რეგულარულად განხორციელდება შესაბამისი ანგარიშების წარმოდგენა. განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების და ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროების მიხედვით მოხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განახლება.

მართვის ეფექტიანობა

უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მართვის ეფექტიანობის მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ამისათვის დაიგეგმა მექანიზმების შემუშავება, რომლის მეშვეობითაც შეფასდება მართვის ეფექტიანობა, გამოიკვეთება გასაუმჯობესებელი მხარეები და საჭიროების შემთხვევაში გატარდება შესაბამისი ცვლილებები. ამდენად, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებულია შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა.

უნივერსიტეტში მიმდინარე საქმიანი პროცესები და მისი უწყვეტობის უზრუნველყოფა

ინსტიტუციის მდგრადი განვითარებისათვის უნივერსიტეტში ხშირად ეწყობა სამუშაო შეხვედრები, სადაც განიხილება თითოეული საქმიანი პროცესი და აღნიშნული პროცესის უფრო კოორდინირებულად ჩატარებისათვის ხდება შეთანხმება რიგ საკითხებთან დაკავშირებით. დაგეგმილია ამ მექანიზმის გაუმჯობესება, მოხდება სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობის და კოორდინაციის ხარისხის შეფასება და საჭიროებების იდენტიფიცირება, შეფასების შედეგების გათვალისწინებით უკეთ გაიწერება სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობის სფეროები. ასევე, გარდა ფუნქციებისა, დეტალურად აღიწერება ყველა საქმიანი პროცესი, რომელიც პერმანენტულად მიმდინარეობს უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობას ასევე მნიშვნელოვნად გაზრდის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის დანერგვა, რაც მოკლევადიან გეგმაშია. აგრეთვე, ბიზნეს პროცესების უწყვეტობისათვის შესაბამისი გეგმის შემუშავება, რაც მომდევნო წელს დაინერგება და უნივერსიტეტს ყველა პროგნოზირებადი რისკის შემცირების საშუალებას მისცემს.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ამოცანა 11.1. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების გეგმიური მონიტორინგი

ამოცანა 11.2. მართვის ეფექტიანობის შეფასება და განვითარება

ამოცანა 11.3. საქმიანი პროცესების გაუმჯობესება

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

- უნივერსიტეტში განხორციელებულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების გეგმიური მონიტორინგი;
- უნივერსიტეტში განხორციელებულია მართვის ეფექტიანობის შეფასება საჭიროების შემთხვევაში, გატარებულია საჭირო ცვლილებები;
- უნივერსიტეტში გაუმჯობესებულია საქმიანი პროცესები;

შეფასებულია სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობის და კოორდინაციის ხარისხი და იდენტიფიცირებულია საჭიროებები; შეფასების შედეგების გათვალისწინებით სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების და პასუხისმგებლობის სფეროები უკეთ არის აღწერილი; აღწერილია საქმიანი პროცესები, რომელიც ახლდება საჭირო პერიოდულობით;

- უნივერსიტეტში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა;
- უნივერსიტეტში შემუშავებულია ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა.

სტრატეგიული მიზანი 12. ხარისხის უზრუნველყოფა

სიტუაციური მიმოხილვა:

ქართულ უნივერსიტეტში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ეფუძნება უწყვეტობის პრინციპს და ითვალისწინებს „PDCA“ - დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და განვითარების ფაზების მუდმივ მონაცვლეობას. გასული წლების მანძილზე აღნიშნული მიდგომა, უნივერსიტეტის საქმიანობაში, წარმატებით გამოიყენებოდა საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში.

უნივერსიტეტის ხედვაა, PDCA სისტემის გამოყენება მაქსიმალურად იყოს ინტეგრირებული უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობაში და გარდა საგანმანათლებლო პროგრამებისა, იგი გამოყენებული იქნეს სხვა სახის სერვისების მიწოდების პროცესშიც: სტუდენტთა კონსულტირება, მოკლევადიანი სასწავლო პროგრამები, დასაქმების ხელშეწყობი ღონისძიებები და სხვა. უნივერსიტეტი მიზნად ისახავს, იზრუნოს ხარისხის კულტურის ამაღლებაზე და უზრუნველყოს გამჭვირვალე სისტემა. გეგმიური ვადის განმავლობაში განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტიანობის შეფასება, პერსონალის მუშაობის შეფასება, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმის და სამიზნე ნიშნულების შეფასება, ხარისხის სამსახურის მუშაობის შეფასება და საჭირო პროცედურული ცვლილებების განხორციელება.

საგანმანათლებლო პროგრამების როგორც შემუშავების, ასევე, განხორციელების ეტაპზე მისი შეფასების და ცვლილებების პროცესის ეფექტურობისთვის, უმნიშვნელოვანესია დაინტერესებული პირების ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი მოსაზრებების მაქსიმალური გათვალისწინება. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ჩართვას განვითარების პროცესში. ამასთან, უნივერსიტეტმა გააანალიზა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მაგალითები და ჩართულობის ხარისხი და მომდევნო წლების მანძილზე მიზნად ისახავს, გაზარდოს ჩართულობა, რაც თავის მხრივ, უფრო ეფექტიანს გახდის ხარისხის უზრუნველყოფას, გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამების და სხვა სახის მიწოდებული სერვისების ხარისხს. ამდენად, უნივერსიტეტი გეგმავს პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობის გაძლიერებას/ახალი თანამშრომლობის დამყარებას, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ზრდის მიზნით, ასევე დაგეგმილია შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესწავლა და გაანალიზება. ასეთი ანალიზი უნივერსიტეტში უკვე განხორციელდა გასულ წელს და მისი შედეგები საფუძვლად დაედო უნივერსიტეტის მიერ პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების გამოკვეთას, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და უკვე არსებული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიკაციას. მომდევნო ეტაპზე მსგავსი კვლევა დაიგეგმა და განხორციელდება ხელახალი ავტორიზაციის წინარე ეტაპზე, საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების გადახედვის და პრიორიტეტული პროგრამების ჩამოყალიბების/პროგრამებში საჭირო ცვლილებების განხორციელების მიზნით.

გარდა პროფესიული ასოციაციებისა და პოტენციური დამსაქმებლებისა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის მოსაზრებებს. შესაბამისი გამოკითხვები უნივერსიტეტში დადგენილი პერიოდულობით რეგულარულად ხორციელდება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული სასწავლო კურსის დონეზე შეფასებას არ ჰქონდა სისტემატიური ხასიათი და მომავალში ყოველი სემესტრის ბოლოს სისტემატიურად განხორციელდება სტუდენტების გამოკითხვა სასწავლო კურსების დონეზე. დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, მოსალოდნელია, რომ გაზრდის საუნივერსიტეტო პროგრამული უზრუნველყოფაში ახალი მოდულების ინტეგრირება, რომელიც კვლევების სწრაფად და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე განხორციელების შესაძლებლობას იძლევა, კომფორტულია როგორც გამოკითხვაში მონაწილე მხარის, ისე - მკვლევრისათვის. ამდენად, უნივერსიტეტი გეგმავს, იზრუნოს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობის გაზრდაზე. გეგმიურ გამოკითხვებში დაინტერესებული პირების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროფესიული ასოციაციები, პოტენციური დამსაქმებლები, ლექტორები, დარგის სპეციალისტები, მოკლევადიანი სასწავლო კურსების მსმენელები და სხვა.) ჩართულობით განხორციელდება ცვლილებების საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი ცვლილებების გატარება.

ამასთან, უნივერსიტეტი გეგმავს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასებას, საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრული პერიოდულობით.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს უფრო ეფექტურს გახდის საუნივერსიტეტო პროგრამულ უზრუნველყოფაში ახალი მოდულების ინტეგრირება, რომელიც უზრუნველყოფს გამოკითხვების ჩატარებას და უნივერსიტეტს შესაძლებლობას მისცემს მართოს კვლევები, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცესები, ამასთან, დაინახოს განვითარების დინამიკა.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ამოცანა 12.1. ხარისხის კულტურის ამაღლება

ამოცანა 12.2. მიზნობრივი კვლევების განხორციელება

ამოცანა 12.3. გამოკითხვების მოდულის დამატება პროგრამულ უზრუნველყოფაში

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

- უნივერსიტეტში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ფონდის მოდელი;
- გაზრდილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტიანობა (პერსონალის შეფასების სისტემის შეფასება და დახვეწა; პროგრამის შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმის შეფასება და დახვეწა; უსდ-ს მიერ მიწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასების მექანიზმების შეფასება და დახვეწა; სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმის და სამიზნე ნიშნულების შეფასება; ხარისხის სამსახურის მუშაობის შეფასება და საჭირო პროცედურული ცვლილებების განხორციელება);

- გაზრდილია დაინტერესებული პირების ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფაში (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები, ლექტორები, დარგის სპეციალისტები, პროფესიული ასოციაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- განხორციელებულია დაინტერესებული მხარეების მიზნობრივი, გეგმიური გამოკითხვები სწავლების, კვლევის და სხვა სახის მიწოდებული სერვისების შესახებ, შინაარსის გათვალისწინებით (სტუდენტთა გამოკითხვა; კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვა; ლექტორების გამოკითხვა; დარგის სპეციალისტების გამოკითხვა; ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა; მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელთა გამოკითხვა);

- პროგრამებში განსაზღვრული პერიოდულობით განხორციელებულია საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება;
- უნივერსიტეტის პროგრამულ უზრუნველყოფაში დანერგილია საჭიროებებზე მორგებული მოდულები.

სტრატეგიული მიზანი 13. ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება

სიტუაციური მიმოხილვა:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოზიდვის და შენარჩუნების გზებს, პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის პირობებს, უნივერსიტეტის მართვის პროცესში გამჭვირვალე გადაწყვეტილებების მიღებას, ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრირებას, წახალისების ღონისძიებების გატარებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. გეგმიურ ვადაში განსაზღვრულია თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევების ორგანიზება, თანამშრომელთა შეფასება და შემდგომი ღონისძიებების გატარება - წახალისების სისტემა/პროფესიული ზრდის საჭიროებების იდენტიფიცირება, შესაბამისი ტრენინგებით/კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებებით უზრუნველყოფა და სხვა. მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობასა და უცხოელი პერსონალის მოზიდვის მექანიზმების შემუშავებაზე. ასევე დაგეგმილია მომდევნო წლებში უნივერსიტეტის პერსონალის ანაზღაურების ეტაპობრივად ზრდა. უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის 60%-ით შევსების შემთხვევაშიც კი 2019 წლიდან დაგეგმილია 5-20% გრადაციით სახელფასო ანაზღაურების ზრდა. აღნიშნული ტენდენცია მომდევნო წლებიდანაც გაგრძელდება, ხოლო ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში მუშაობა გაგრძელდება ოპტიმიზაციის მიმართულებით.

ასევე დაგეგმილია ადამიანური რესურსის სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება. ამ დროისათვის უნივერსიტეტი მონაწილეობს დაზღვევის ანაზღაურებაში 50%-ით, თუ მომდევნო წლებისათვის სტუდენტთა კონტინგენტი 80%-ით შეივსება, უნივერსიტეტი გეგმავს სადაზღვეო ანაზღაურებაში 70%-იან მონაწილეობას.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ამოცანა 13.1. თანამშრომელთა შეფასების და საჭიროებების დადგენის მიზნით კვლევების განხორციელება

ამოცანა 13.2. პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

- უნივერსიტეტში განხორციელებულია თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა;
- უნივერსიტეტში განხორციელებულია თანამშრომელთა შეფასება და გატარებულია შემდგომი წახალისების ღონისძიებები;
- უნივერსიტეტს გატარებული აქვს პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები;
- უნივერსიტეტში განვითარებულია პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობის მექანიზმები
- გაუმჯობესებულია სამიზნე ნიშნულები
- შემუშავებულია და გამოიყენება უცხოელი პერსონალის მოზიდვის მექანიზმები.

სტრატეგიული მიზანი 14. ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების განვითარება

სიტუაციური მიმოხილვა:

უნივერსიტეტი გეგმავს უნივერსიტეტი გეგავს შეფასოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში - გაატაროს შესაბამისი ცვლილებები.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ამოცანა 14.1. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების შეფასების მეთოდოლოგიის განსაზღვრა

ამოცანა 14.2. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება და შედეგების გათვალისწინებით საჭირო ცვლილებების გატარება

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

- უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ეფექტური მექანიზმები.

სტრატეგიული მიზანი 15. საბიბლიოთეკო სერვისის განვითარება

სიტუაციური მიმოხილვა:

ქართულ უნივერსიტეტს აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც მომსახურებას უწევს უნივერსიტეტის სტუდენტებს, პერსონალს, ასევე, სხვა დაინტერესებულ პირებს. ბიბლიოთეკის მხრიდან მიწოდებული რესურსები პერიოდულად ფასდება უნივერსიტეტში. რეგულარულად ხორციელდება წიგნადი ფონდის განახლება. გეგმიურ ვადაში განხორციელდება მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა და შედეგების გათვალისწინებით, საბიბლიოთეკო რესურსის განახლება, საჭირო საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქციების შემუშავება, მოთხოვნადი ლიტერატურის გაციფრულება. ამასთან, დაგეგმილია წიგნებისა და ბაზების გამოყენების სტატისტიკის მონიტორინგი და შედეგების მიზნობრივად გამოყენება. სტატისტიკის და მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინებით ბაზების ჩამონათვალის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილება.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ამოცანა 15.1. მომხმარებელზე ორიენტირებული გარემოს განვითარება

ამოცანა 15.2. საბიბლიოთეკო რესურსის პერიოდული განახლება

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

- შემუშავებულია საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქციები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომხმარებლებისათვის;

- მოთხოვნადი ლიტერატურა გაციფრულებულია და სახელმძღვანელოებზე გაზრდილია ხელმისაწვდომობა;

- გამდიდრებულია ბიბლიოთეკის ფონდი;

- განხორციელებულია სტუდენტებისა და პერსონალთან ბიბლიოთეკის რესურსებთან და სერვისებთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრები/ტრენინგები/ კონსულტირება;

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი;

- ბიბლიოთეკა ზედმიწევნით ითვალისწინებს მომხმარებელთა საჭიროებებს.

სტრატეგიული მიზანი 16. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება

სიტუაციური მიმოხილვა:

უნივერსიტეტი აღჭურვილია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. სათანადო აღჭურვილობის აუდიტორიები, ლიცენზირებული პროგრამები, უახლესი ტექნიკა, საბიბლიოთეკო რესურსი და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომა, სასწავლო და სარეკრეაციო სივრცეები ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობის მიზნების მიღწევას. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები რეგულარულად ახლდება. გეგმიურ ვადაში იგეგმება საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის კვლავ გაუმჯობესება, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების უკეთესი ხელშეწყობის მიზნით. გარდა მორალურად მოძველებული ტექნიკის ახლით ჩანაცვლებისა, დაგეგმილია საბიბლიოთეკო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე იგეგმება ახალი ჭკვიანი დაფების შესყიდვა, უცხო ენების შემსწავლელ კლასებში პერსონალური მოსასმენი აპარატურის უზრუნველყოფა, ასევე, დაგეგმილია უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის სასწავლო პრაქტიკის გარემოს მოწყობა, მათი სპეციალობების შესაბამისად. განხორციელდება უსაფრთხოების და სანიტარული მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი.

უნივერსიტეტისთვის დენის უწყვეტი მომარაგების მიზნით იგეგმება გენერატორის დამონტაჟება.

ინტერნეტის უწყვეტი მომარაგების მიზნით იგეგმება სარეზერვო ხაზის შემოყვანა ალტერნატიული პროვაიდერისგან.

გეგმები ასევე დასახულია აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცის გაზრდის, სამართლის კლინიკის ინფრასტრუქტურის მოწყობის, სარეკრეაციო სივრცეების განვითარების მიმართულებით.

ძალისხმევა იქნება ასევე მიმართული საინფორმაციო რესურსის განვითარებისაკენ. ამუშავდება მედია სერვერი, მოხდება ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასება ბიზნესპროცესებთან მიმართებით და შესაბამისი ღონისძიებების გატარება, ელექტრონული სერვისების და მართვის ელექტრონული სისტემების დანერგვა/განვითარება, დისტანციური ლექციების ტექნიკური უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის არქივისთვის ელექტრონული საარქივე მონაცემთა ბაზის გაშვება და სხვა მრავალი აქტივობის შესრულება.

ასევე დაიგეგმა ფინანსური რესურსის და მისი მართვის სისტემის განვითარება, დაფინანსების ალტერნატიული წყაროების განვითარების, მენეჯერული ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის და ანგარიშგების განვითარების და გამჭვირვალობის სახით.

საქმიანობის განსახორციელებლად უნივერსიტეტს აქვს დაფინანსების ორი ძირითადი წყარო: პირველი, საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოყოფილი სუფსიდია, რომელიც სახელმწიფო ხაზინიდან გრანტს გულისხმობს და მეორე - სტუდენტების მიერ სამივე საფეხურის სტუდენტებისაგან გადახდილი სწავლის საფასური/მათთვის გამოყოფილი სასწავლო გრანტი. ასევე, უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სატრენაჟორო დარბაზი, მთარგმნელ-თარჯიმანთა სკოლა, ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი ცენტრი და მოსწავლეთა პირად-გუნდური საგნობრივი ოლიმპიადები, რომლებიც დამატებითი არის მოგებაზე ორიენტირებული. დაიგეგმა და მომავალში ასევე ამოქმედდება მოკლევადიანი სასწავლო პროგრამები, რომლებიც დამატებით იქნება მოგებაზე ორიენტირებული.

უნივერსიტეტმა იზრუნა დაფინანსების ალტერნატიული წყაროების განვითარებაზე, დააფუძნა და დღეისათვის ორი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, „პირველი

ქართულის“ და „ბოდბის მარანის“ 100% წილის მფლობელია. „პირველი ქართულის“ ეკონომიკური საქმიანობის სახეს წარმოადგენს საზოგადოებრივი კვება, დღეისათვის იჯარით აქვს აღებული ფართი ჭავჭავაძის #53 ა-ში და ემსახურება როგორც საუნივერსიტეტო საზოგადოებას, ისე სხვა პირებს.

„ბოდბის მარანის“ წარმოება სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში, უნივერსიტეტის კუთვნილ მიწის ნაკვეთში (30677 კვ.მ.) ფართზეა განლაგებული. განხორციელდა მაღალპროდუქტიული ვენახის ჯიშების (რქაწითელი, ციცქა) გაშენება და ასევე იგეგმება განვითარების მიზნით დამატებით 50 000 კვ.მ. მიწის შეძენა, მარნის მოწყობა, ღვინის ბრენდის შექმნა. აღნიშნული მიმართულებით გაწეული ხარჯები პერსპექტივაში განაპირობებს დამატებითი შემოსავლების მიღების საშუალების შესაძლებლობას, რაც მიმართული იქნება როგორც კვლავწარმოებისათვის, ასევე, უნივერსიტეტის შემდგომი ინფრასტრუქტურული პროექტების და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისკენ.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ამოცანა 16.1. საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ამოცანა 16.2. საინფორმაციო რესურსის განვითარება

ამოცანა 16.3. ფინანსური რესურსის და მისი მართვის სისტემის განვითარება

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

- გაუმჯობესებულია საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურა:

განახლებულია საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი სასწავლო და სხვა სახის ინვენტარი;

განახლებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა) საჭიროების შესაბამისად;

საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურა პასუხობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების საჭიროებებს;

გაუმჯობესებულია საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურა;

განვითარებულია სპორტული ინფრასტრუქტურა;

განხორციელებულია უსაფრთხოების და სანიტარული მდგომარეობის საჭირო პერიოდულობით მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები;

უნივერსიტეტს შესყიდული აქვს ახალი ჭკვიანი დაფები;

უცხო ენების შემსწავლელ კლასებში უზრუნველყოფილია პერსონალური მოსასმენი აპარატურა;

საკონფერენციო დარბაზები უზრუნველყოფილია ლედ-მონიტორებით;

უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის მოწყობილია სასწავლო პრაქტიკის გარემო, მათი სპეციალობების შესაბამისად;

უნივერსიტეტის ლიფტები უზრუნველყოფა ელექტრონული გასაღებებით;

უნივერსიტეტის შენობებში განთავსებულია ელექტრონული საინფორმაციო დაფები;

უნივერსიტეტის მეორე კორპუსში მოწყობილია პანდუსი;

მოწყობილია სამართლის კლინიკის ინფრასტრუქტურა;

გაზრდილია აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე;

გაუმჯობესებულია სამედიცინო კაბინეტის ინფრასტრუქტურა;

გაუმჯობესებულია სარეკრეაციო სივრცეები;

განვითარებულია უნივერსიტეტის საინფორმაციო რესურსი;

ამუშავებულია მედია სერვერი;

განვითარებულია ვიდეო ჩანაწერების შენახვის მექანიზმები;

განხორციელებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასება ბიზნესპროცესებთან მიმართებით და გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები;

შემუშავებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის მოდელი;

განხორციელებულია საინფორმაციო სისტემის ეფექტიანობის შეფასება;

დანერგილი და განვითარებულია ელექტრონული სერვისების და მართვის ელექტრონული სისტემები;

დასრულებულია უნივერსიტეტის ვებვერდის განახლება;

საგანმანათლებლო პროგრამები ინტეგრირებულია Moodle-ში;

საბიბლიოთეკო პროგრამა ინტეგრირებულია მართვის ელექტრონულ სისტემაში

სასწავლო კლასებში ჩართულია ელექტრონულ წიგნად ფონდთან ლოკალური დაშვება;

უნივერსიტეტს აქვს ცენტრალიზებული ანტივირუსული უზრუნველყოფა;

უნივერსიტეტს აქვს დისტანციური ლექციების ტექნიკური უზრუნველყოფა;

მართვის ელექტრონულ სისტემაში უზრუნველყოფილია პლასტიკური ბარათით გადახდა;

უნივერსიტეტის არქივისთვის დანერგილია ელექტრონული საარქივე მონაცემთა ბაზა;

ახალი სასწავლო პროგრამებისთვის შესწავლილია საჭირო გარემო და მოპვებულია შესაბამისი ლიცენზია;

განვითარებულია ფინანსური რესურსი და მისი მართვის სისტემა;

შემუშავებულია წლიური ბიუჯეტი და განხორციელებულია შესაბამისი ანგარიშგება;

განვითარებულია დაფინანსების ალტერნატიული წყაროები;

განვითარებულია მენეჯერული ანგარიშგაღებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა;

უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ჩატარებულია ფინანსური აუდიტი და უზრუნველყოფილია დასკვნის საჯაროება.

სტრატეგიის შესრულების მონიტორინგის მექანიზმი

სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო უნივერსიტეტის სტრატეგია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური ყოველწლიურად უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების/შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, გაანალიზებას და შესაბამისი ანგარიშის წარდგენას დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის წინაშე.

ამ მუხლით განსაზღვრული შეფასების შედეგების გათვალისწინებით, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა/სამოქმედო გეგმის ცვლილება. ამ მიზნით, დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელს წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის ხედვა, სტრატეგიული განვითარების/სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელების საჭიროების შესახებ და შესაბამისი ცვლილებების პროექტი, რომელიც შეთანხმებულია პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებთან.

დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, წარმოდგენილი პროექტის შინაარსის გათვალისწინებით, ამტკიცებს მას ან ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების გადახედვას და ცვლილების საჭიროების შესახებ მოსაზრებების წარმოდგენას.

ამოცანა	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
მიმართულება I - სწავლება								
სტრატეგიული მიზანი N1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დახვეწა								
ამოცანა 1.1: პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ანალიზი დაინტერესებული პირების ჩართულობით და მიღებული შედეგების გათვალისწინებით საჭირო ცვლილებების განხორციელება/საჭირო აქტივობების დაგეგმვა								
ამოცანა 1.2: ინდივიდუალური პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ანალიზი დაინტერესებული პირების ჩართულობით. ინდივიდუალური პროგრამების/გეგმების შემუშავების/განვითარების მეთოდოლოგიის დახვეწა								
ამოცანა 1.3: სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკის განვითარება								
ამოცანა 1.4: საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუმჯობესების პროცედურების და პროცესების ოპტიმიზაცია								
სტრატეგიული მიზანი 2. პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების იდენტიფიცირება. პროგრამების შინაარსობრივი განვითარება და სტრუქტურული გაუმჯობესება								
ამოცანა 2.1. პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების იდენტიფიცირება და შესაბამისი პროგრამების აკრედიტაცია/რეაკრედიტაცია								

ამოცანა 2.2. საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი განვითარება და სტრუქტურული გაუმჯობესება ქვე-ამოცანა 2.2.1. სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამებში ქვე-ამოცანა 2.2.2. საგანმანათლებლო პროგრამებში შეფასების სისტემის და შეფასების მეთოდების დახვეწა ქვე-ამოცანა 2.2.3. დამსაქმებელთა მოთხოვნების უკეთ გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამებში ქვე-ამოცანა 2.2.4. პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და შესაბამისი პროცედურების დახვეწა ქვე-ამოცანა 2.2.5. ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კომპონენტების განვითარება ქვე-ამოცანა 2.2.6. პროგრამებში (სილაბუსებში) უახლესი და აქტუალური, მათ შორის, ინგლისური, ლიტერატურის დამატება, არსებული ლიტერატურის განახლება საჭირო პერიოდულობით. ქვე-ამოცანა 2.2.7. ინგლისური სასწავლო კურსების გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამებში ქვე-ამოცანა 2.2.8. შიდა და გარე შეფასების შედეგების ასახვა საგანმანათლებლო პროგრამაში ქვე-ამოცანა 2.2.9. საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების განსაზღვრა (საგანმანათლებლო პროგრამების იმ ნაწილში, სადაც აღნიშნული ჯერ არ განხორციელებულა) ქვე-ამოცანა 2.2.10. პროგრამების სტრუქტურის განახლება საუნივერსიტეტო წესის შესაბამისად, სწავლის შედეგების რუკის განახლება								
ამოცანა 2.3. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება								
სტრატეგიული მიმართულება II. კვლევების განვითარება								
სტრატეგიული მიზანი 3. კვლევების განვითარება და უნივერსიტეტის კვლევითი ფუნქციის გაძლიერება								
ამოცანა 3.1. კვლევების უკეთ ინტეგრირება სასწავლო საქმიანობაში								
ამოცანა 3.2. კვლევების განხორციელება და კვლევის შედეგების გაზიარება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე								

ამოცანა 3.3. საერთაშორისო კვლევით ერთეულებთან და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობით კვლევების განხორციელება								
ამოცანა 3.4. ეკონომიკური აგენტების/სხვა ინსტიტუციების დაკვეთით მიზნობრივი კვლევების განხორციელება								
სტრატეგიული მიზანი 4. კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა								
ამოცანა 4.1. დაფინანსების სისტემის ეფექტიანობის შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელება								
ამოცანა 4.2. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის და სტუდენტებისათვის შეხვედრების და ტრენინგების ორგანიზება და კონსულტირება, სამეცნიერო პროექტების წერის და ანგარიშების, სხვადასხვა წყაროდან დაფინანსების მოპოვების და სხვა მიზნობრივ საკითხებზე								
სტრატეგიული მიზანი 5. კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება								
ამოცანა 5.1 კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა								
ამოცანა 5.2. სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში და სადოქტორო ნაშრომებზე მუშაობის/შეფასების პროცესში უცხოელი მკვლევარების ჩართვა								
ამოცანა 5.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება და შეფასების მექანიზმების დახვეწა								
ამოცანა 5.4. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების განმტკიცება								
სტრატეგიული მიმართულება III. მიზნობრივი აუდიტორიის მოზიდვა და მათი ხელშეწყობა								
სტრატეგიული მიზანი 6. ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტების და მსმენელების მოზიდვა								
ამოცანა 6.1. სამიზნე ჯგუფების მოზიდვის მექანიზმების განვითარება								
სტრატეგიული მიზანი 7. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერი სერვისების განვითარება								
ამოცანა 7.1. სტუდენტთა მხარდაჭერა								
ამოცანა 7.2. კურსდამთავრებულთა მხარდაჭერა								
სტრატეგიული მიზანი 8. სტუდენტური ცხოვრების განვითარება								
ამოცანა 8.1. სპორტული ცხოვრების განვითარება								
ამოცანა 8.2. სტუდენტური შემოქმედებითი/სახელოვნებო ცხოვრების განვითარება								
სტრატეგიული მიზანი 9. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარება								

ამოცანა 9.1. პოტენციურ დამსაქმებლებთან მუშაობა								
ამოცანა 9.2. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პორტალის შექმნა								
ამოცანა 9.3. პრაქტიკული უნარების განმავითარებელი ღონისძიებების განხორციელება								
ამოცანა 9.4. კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სტუდენტთათვის ტრენინგების და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება								
სტრატეგიული სამუშაო მიმართულება IV. საზოგადოების განვითარებაში კონტრიბუცია								
სტრატეგიული მიზანი 10. ინსტიტუციური პოტენციალის საზოგადოებისათვის სასარგებლოდ გამოყენება								
ამოცანა 10.1. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სისტემის განვითარება								
ამოცანა 10.2. სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და სხვა პროგრამების და ღონისძიებების განხორციელება								
ამოცანა 10.3. აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში								
ამოცანა 10.4. სამართლის საუნივერსიტეტო კლინიკის შექმნა								
სტრატეგიული სამუშაო მიმართულება V. ინსტიტუციური განვითარება								
სტრატეგიული მიზანი 11. ორგანიზაციული სტრუქტურის და მართვის გაუმჯობესება								
ამოცანა 11.1. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების გეგმიური მონიტორინგი								
ამოცანა 11.2. მართვის ეფექტიანობის შეფასება და განვითარება								
ამოცანა 11.3. საქმიანი პროცესების გაუმჯობესება								
სტრატეგიული მიზანი 12. ხარისხის უზრუნველყოფა								
ამოცანა 12.1. ხარისხის კულტურის ამაღლება								
ამოცანა 12.2. მიზნობრივი კვლევების განხორციელება								
ამოცანა 12.3. გამოკითხვების მოდულის დამატება პროგრამულ უზრუნველყოფაში								
სტრატეგიული მიზანი 13. ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება								
ამოცანა 13.1. თანამშრომელთა შეფასების და საჭიროებების დადგენის მიზნით კვლევების განხორციელება								

ამოცანა 13.2. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა								
მიზანი 14. ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების განვითარება								
ამოცანა 14.1. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების შეფასების მეთოდოლოგიის განსაზღვრა								
ამოცანა 14.2. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება და შედეგების გათვალისწინებით საჭირო ცვლილებების გატარება								
მიზანი 15. საბიბლიოთეკო სერვისის განვითარება								
ამოცანა 15.1. მომხმარებელზე ორიენტირებული გარემოს განვითარება								
ამოცანა 15.2. საბიბლიოთეკო რესურსის პერიოდული განახლება								
მიზანი 16. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება								
ამოცანა 16.1. საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება								
ამოცანა 16.2. საინფორმაციო რესურსის განვითარება								
ამოცანა 16.3. ფინანსური რესურსის და მისი მართვის სისტემის განვითარება								